საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 10 ოქტომბერი 2011 წ.

ბრძანება № 109

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადებისა და ვადების დადგენის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის პირველი მუხლის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 3 ოქტომბრის 171 დადგენილებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 7 ოქტომბრის 14 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობით სტიპენდიებზე:

საუნივერსიტეტო სტიპენდია:

აბუსერისძე ტბელის სახელობის - 1 ადგილი;

ფრიდონ ხალვაშის სახელობის -1 ადგილი.

საფაკულტეტო სტიპენდია :

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე - იუსუფ კობალაძის სახელობის - 1 ადგილი;

მუსიკის ფაკულტეტზე - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის - 1 ადგილი;

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის - 1 ადგილი.

2. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 10 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით, 10 საათიდან 15 საათამდე (მისამართი: ბათუმი, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, ოთახი 1 306, ტელ 24 43 68).

ბ) კონკურსანტთა განცხადებების განხილვა იწარმოოს 2011 წლის 21 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2011 წლის 05 ნოემბრამდე.

გ) კონკურსში გამარჯვებულ სტუდენტებთან ხელშეკრულება გაფორმდეს 2011 წლის 1 ნოემბრიდან.

3. ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფებზე.

4. აღნიშნული ბრძნებით იხელმძღვანელონ კომისიამ, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, ბუღალტერიამ, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების, მუსიკის, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებმა და სტუდენტურმა თვითმმართველობამ.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N 4).

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ე. მესხია**